საქართველოს მთავრობის

დადგენილება №274

2022 წლის 1 ივნისი

ქ. თბილისი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილისთვის განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსის მინიჭების თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში არსებულ 20773.00 კვ/მ და 15634.00 კვ/მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №34.09.46.238 და №34.09.46.239) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს/ტერიტორიას მიენიჭოს განსაკუთრებული რეგულირების ზონის სტატუსი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ განსაკუთრებული რეგულირების ზონაში დამტკიცდეს ტურისტულ-ეკონომიკური რეჟიმი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**